

თამარ მახარობლიძე

შორისდებულის შესახებ

(თავისუფლება შორისდებულს!)

ზოგადად შორისდებულის განსაზღვრება უნივერსალურია და ამ მეტყველების ნაწილს ყველა ენაში ერთი და იგივე ფუნქცია აქვს. ეს არის ემოციის გამომხატველი განწყობილი სიტყვა, ბგერა ან ბგერათა ჯგუფი. ზოგ ენებში შორისდებულის გამოყენების სპექტრი უფრო ფართოა, მაგალითად, თანამედროვე ინგლისურში. ეს ენა არ ერიდება ახალი კონტენტის შორისდებულების სხვადასხვა ხერხით წარმოებას. ამდენად, ასეთ ენებში ეს მეტყველების ნაწილი წარმოდგენილია უფრო ფართო გაგებით და შორისდებულებში შეტანილია სიტყვა-პარაზიტებიც, რაც სხვა ენებში და სხვა ქვეყნებში გააზრებულია, როგორც მეტყველების დეფექტები.

ინგლისურ ენაში, განსაკუთრებით კი ამერიკულ მეტყველებაში, უფრო კონკრეტულია თითოეული შორისდებულის მნიშვნელობაც, ქართული ენისგან განსხვავებით. მაგალითად, შორისდებული „ვახ!“ ქართულ ენაში შეიძლება ასახავდეს მწუხარებას, დანანებას და ასევე მას, შესაძლოა, ჰქონდეს დიამეტრულად საპირისპირო გააზრებაც და სიხარულს გამოხატავდეს. სწორედ ეს გარემოება გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდების მეტყველებაში ვხვდებით „ვაუ“ ამერიკული შორისდებულის სესხების არცთუ იშვიათ ფაქტებს. წინადადებაში „(ვ)აჰ! დედაჩემი ჩამოვიდა!“ გაუგებარია, რა არის გადმოცემული – სიხარული თუ დანანება. განსაკუთრებით მატულობს გაუგებრობა ენის წერილობით ფორმებში, სადაც არ არის წარმოდგენილი ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორებიცაა მიმიკა და ქესტიკულაცია. „ვაუ! დედაჩემი ჩამოვიდა!“ – ეს წინადადება კი, ნასესხები შორისდებულის წყალობით, ცალსახაა – აქ აშკარად სიხარული და აღტაცება გამოხატული.

რაც შეეხება შორისდებულების სესხებას, ეს საყოველთაო მოვლენაა ენებში. ქართულში რუსული ენიდან ნასესხებია შორისდებული „ურა“. ტიპოლოგიურად არცთუ იშვიათია გრაფემების სესხება. ზოგ ენას (მაგალითად, ვალიურს) ისეთი დაშვებაც კი აქვს, სხვა ენიდან შემოაქვს ფონემები (ან ბგერები) შორისდებულისთვის. ამ-

გვარი მოვლენა არც ქართულისთვის იყო უცხო. XIX-XX საუკუნეების ლიტერატურაში ვაწყდებით რუსული ფონემების გამოყენების ფაქტებს „ქუ“, „ქუჟ“, „იჟ“ და სხვ.

საინტერესო სურათს იძლევა შორისდებულთა ტიპოლოგია. ზოგადად შეიძლება გამოვყოთ შორისდებულთა წარმოების ორი ძირითადი პრინციპი:

- სემანტიკა მოქნილია და შეზღუდულია წარმოება და ორთოგრაფია ან
- სემანტიკა კონკრეტულია და თავისუფალია ორთოგრაფია და წარმოება.

ინგლისური, როგორც განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მაღალი დინამიკის ენა, პირველ ჯგუფს განეკუთვნება. აქ სემანტიკა მოქნილია და შეზღუდულია წარმოება და ორთოგრაფია. ხოლო ქართული ენა შორისდებულთა წარმოების მეორე ტიპს უჩვენებს, სადაც სემანტიკა კონკრეტულია და თავისუფალია ორთოგრაფია და წარმოება.

ენებში შორისდებულის სემანტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ლინგვოფსიქოლოგიურ ფაქტორებთან. ლინგვოფსიქოლოგიური ფორმატი კი ზოგადად უნივერსალური არ არის. სხვადასხვა კულტურულ რეალობაში განსხვავებული მიდგომები გვხვდება. საქართველოში თაობები იზრდებოდა ემოციური მდგომარეობის ინტროვერტული პრინციპით – „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“ – ასე გვასწავლიდენ ემოციური მდგომარეობის დაფარვას საუკუნეების მანძილზე. საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში კარგ ტონად არ ითვლებოდა რიტუალური ტრადიციების მიღმა ძლიერი პოზიტიური ან ნეგატიური ემოციებისა და გრძნობების სააშკარაოზე გამოტანა. ამის ნაცვლად, თავშეკავებული ქცევა უფრო მისაღები იყო ქართული ფსიქოტიპისათვის. ამის პარალელურად ევროპის ქვეყნებსა და – განსაკუთრებით კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში ინსტიტუციები ინტენსიურად მუშაობდნენ, რომ ადამიანისათვის ემოციების აშკარად გამოხატვის თავისუფლება შთაეგონებინათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლური და ჩრდილოატლანტიკური საზოგადოება ექსტრავერტული ემოციური ვექტორის მომხრე იყო ყოველთვის. ამ ტიპის სხვაობები ენაში, ცხადია, იერარქიის სხვადასხვა დონეზე არის ასახული. განსაკუთრებით ნათელია სურათი პრაგმატიკისა და სემანტიკის დონეებზე. ზემოთ ხსენებულ

ფსიქოლინგვისტურ სხვაობას მორფოლოგიურ დონეზე ყველაზე უკეთ შორისდებული გადმოსცემს. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ დროთა განმავლობაში, ცხადია, ფსიქოტიპები იცვლება.

უნდა ითქვას, რომ კავკასიური ფსიქოტიპაჟი (და შესაბამისად, მათი შორისდებულებიც) დახურულია და ამითაც უცნაურია ამერიკული საზოგადოებისათვის. როგორც სიხარულს, ასევე ჭირს და ტკივილსაც მალვა რომ უნდა, ეს სრულიად უცხოა ამ საზოგადოებისათვის. საინტერესოა, როგორ ახასიათებენ ჰოლივუდის თანამედროვე პროდიუსერები კავკასიურ ტიპაჟებს. არის გარეგნული დახასიათების ასეთი სტანდარტი გამოყენებული – “Strangely handsome” – რაც ნიშნავს „უცნაურად სიმპათიურს“. მოცემულ ენობრივ ფორმაში ნათლად ჩანს გაუცხოებითი დამოკიდებულება.

შორისდებულთა კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პარამეტრით. თავისი სტრუქტურისა და მნიშვნელობის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ შორისდებულთა შემდეგი ჯგუფები:

- **წარმოქმნის მიხედვით:** პირველადი და ნაწარმოები;
- **სტრუქტურის მიხედვით:** მარტივი, რთული, შედგენილი;
- **მნიშვნელობის მიხედვით:** ემოციური, ბიძგის მომცემი, იმიტირებადი /ხმაბამებითი და ეტიკეტური.

აღსანიშნავია, რომ შორისდებულებთან ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა და მიმიკის როლი საკმაოდ დიდია. შესტური ენები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ მთლიანად მიმიკას ეყრდნობა შორისდებულის გადმოცემისას და მანუალური კინეტიკა მოხსნილი აქვს. ქართულ შესტურ ენაში შორისდებულთა გადმოცემისას ვხვდებით ორივე ფაქტორის (მანუალური და მიმიკური შესტების) კომბინაციას ისევე, როგორც შესტურ ენათა უმრავლესობაში. მიმიკური შესტი სრულიად ნათელს ხდის ემოციას, განსხვავებით სამეტყველო ქართული ენის ფორმებისაგან.

რაც შეეხება მართლწერისა და ენის ნორმათა საკითხებს, აქ უნდა დაისვას საკითხი, რომ ეს მეტყველების ნაწილი არ მოექცეს სალიტერატურო ნორმების თემატიკაში, როგორც ემოციის გამომსახველი სიტყვა. ემოცია კი სავსებით მისაღებია, რომ სხვადასხვა თავისუფალი ფორმებით იქნეს გადმოცემული.

შორისდებული მხოლოდ ლიტერატურის კუთვნილებაა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. მწერლობა მაინც ვერ დაემორჩილება ორთოგრაფიისა და ნორმების ჩარჩოებს ემოციის გადმოცემისას.

მეტყველება – და კერძოდ, შორისდებულის გამოყენებაც – არის პერსონაჟის ერთ-ერთი მახასიათებელი. ზოგადად, ეტიმოლოგია შეიძლება ნებისმიერ სიტყვაში ვეძიოთ, მაგრამ არაა აუცილებელი, ნორმით განვსაზღვროთ ასეთი მიდგომა. „ბიჭოს“, „ჭოს“, „ბიჯოს“, „ჯოს“, „ჯო“ – ამ ერთეულებს არაფერი არა აქვთ საერთო სიტყვასთან „ბიჭი“. ამრიგად, თუ არ ექნება ნორმებით შეზღუდვა, ენა ბუნებრივი განვითარების პროცესით წავა და არჩევანს გააკეთებს ზემოთ ხსენებულ ორ სისტემას შორის. ეს მეტყველების ნაწილი მოშორებით დგას და აჯობებს, თავი დავანებოთ ლინგვისტიკაში. შორისდებულებს ნუ დაუუწესებთ ორთოგრაფიულ ნორმებს. თავისუფლებაა შორისდებულს!

ლიტერატურა

მახარობლიძე 2015 – თ. მახარობლიძე, ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5, 1368 გვ.

მახარობლიძე 2012 – თ. მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი, 610 გვ.

Gladwyn Ferreira. English Kumarbharati Grammar, Language Study & Writing Skills Std.X. Jeevandeep Prakashan Pvt Ltd. pp. 168-. GGKEY:PYF90EN6DCP. Retrieved 18 May 2013.

Wundt, Wilhelm (1904). Völkerpsychologie: Eine Untersuchung der Entwicklungsgesetze von Sprache, Mythos und Sitte (2nd ed.). Leipzig: Engelmann.

*Wharton, Tim (2003). "Interjections, language, and the 'showing/saying' continuum" (PDF). *Pragmatics & Cognition* 11 (1): 175. Retrieved 5 June 2015.*

Tamar Makharoblidze

Some Issues on Interjection

(Freedom to Interjection!)

Summary

The paper presents the classification for interjections and its short typological analysis. The general principles for derivation and usage of this part of speech are revealed including the Sign Languages.

In a written form an interjection belongs to the literature only and usually it is a part of an emotional speech of a character. We argue that we should leave it out of literary norms and orthographic standards and give freedom to Interjection.